




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

აპრილი, 2023


- 2023 წლის მარტში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 7.3 პროცენტი, ხოლო 2023 წლის 3 თვის საშუალო ზრდა 7.2 პროცენტზე დაფიქსირდა
- აპრილში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 2.7 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 4.7 პროცენტს
- მარტში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 32.9 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 33.4 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 33.7 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 688 მლნ აშშ დოლარს
- მარტის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაიზარდა 17.5 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 2.3 პროცენტით წინა თვესთან
- აპრილში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი არ ჩატარებულა და პოლიტიკის განაკვეთი კვლავ 11.0 პროცენტზეა

მარტში ეკონომიკურმა ზრდამ 7.3 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ




- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7,3 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2023 წლის I კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7.2 პროცენტია. სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ მარტში წინა თვესთან შედარებით 1.3 პროცენტი შეადგინა.
- 2023 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, საფინანსო და სადამბვევო საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა.
- კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ენერჯეტიკის და უძრავი ქონების დარგებში.

ეკონომიკური ზრდა 2023-2019



2022 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 9.5 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2022 IV კვარტალი



- წინასწარი შეფასებით, 2022 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა 9.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 9.7 პროცენტით. 2022 წლის მეოთხე კვარტალის ზრდა 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 10.4 პროცენტის ბრძანს გულისხმობს.
- 2022 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა შემდეგმა დარგებმა:
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 60.9% წ/წ (2.7 პ.პ.)
 - შინამეურნეობის, როგორც დამუშავების, საქმიანობის, არადიდერენციული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობის მიერ საკუთარი მიხმარებისათვის: 59.1% წ/წ (0.05 პ.პ.)
 - მშენებლობა 27.9% წ/წ (1.6 პ.პ.)
 - ტრანსპორტი და დასაწყობება: 25.3% წ/წ (1.7 პ.პ.)
 - სამთომოპოვებითი მრეწველობა: 22.5% წ/წ (0.3 პ.პ.)
 - ხელოვნება, გართობა და დასვენება: 16.8% წ/წ (0.2 პ.პ.)
 - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: 14.0% წ/წ (0.7 პ.პ.)
 - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 13.8% წ/წ (0.7 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა შემდეგმა დარგებმა:
 - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: -8.7 წ/წ (-1.1 პ.პ.)
 - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: -8.8 წ/წ (-0.6 პ.პ.)


მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2022 IV კვარტალი




წყარო: საქსტატი

აკრილის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 2.7 პროცენტი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 33.7 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- მარტში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 32.9 პროცენტით და გაუტოლდა 547 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 18.3 პროცენტით და გაუტოლდა 269 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 33.4 პროცენტით და გაუტოლდა 1 235 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 33.7 პროცენტით და გაუტოლდა 688 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 47.6 პროცენტი (239.2 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიგანა უარყოფითი 29.9 პროცენტიანი წვლილი (-57.6 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 19.4, 14.2 და -0.3 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, მარტი




- ექსპორტის ტოპ საქონელი:
 - მსუბუქი ავტომობილები: 174.9 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 32.0 პროცენტი.
 - სპილენძის მალნები და კონცენტრატები: 62.3 მლნ აშშ დოლარი - 11.4 პროცენტი.
 - მინერალური სასუქები: 34.2 მლნ. აშშ დოლარი - 6.3 პროცენტი.

იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, მარტი




- იმპორტის ტოპ საქონელი:
 - მსუბუქი ავტომობილები: 165.2 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 13.4 პროცენტი.
 - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 92.8 მლნ აშშ დოლარით - 7.5 პროცენტი.
 - ნავთობის აირები: 49.2 მლნ აშშ დოლარით - 4.0 პროცენტი.

- ექსპორტის ტოპ ქვეყნები:
 - სომხეთი: 83.8 მლნ. აშშ დოლარი, 15.3 პროცენტი.
 - აზერბაიჯანი: 69.4 მლნ. აშშ დოლარი - 12.7 პროცენტი.
 - ბულგარეთი: 51.5 მლნ. აშშ დოლარი, 9.4 პროცენტი.

- იმპორტის ტოპ ქვეყნები:
 - თურქეთი: 243.4 მლნ. აშშ დოლარი - 19.7 პროცენტი.
 - რუსეთი: 151.1 მლნ. აშშ დოლარი - 12.2 პროცენტი.
 - ჩინეთი: 108.3 მლნ. აშშ დოლარი - 8.8 პროცენტი.

წმინდა ფულადი გზავნილები, 2023-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, მარტი 2023

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, კპ
რუსეთი	219.8	805.2	115.7
იტალია	42.5	20.1	4.2
აშშ	34.4	38.7	5.6
ისრაელი	18.1	10.4	1.0
საბერძნეთი	18.0	4.2	0.4
ყაზახეთი	16.5	141.1	5.7
სხვა	58.7	33.1	8.6

2023 წლის მარტში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 408.0 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 141 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 240 პროცენტით.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - რუსეთი: 805.2 პროცენტი (115.7 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - გერმანია: 55.2 პროცენტი (3.5 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - აშშ: 38.7 პროცენტი (5.6 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - იტალია: 20.1 პროცენტი (4.2 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - ბელარუსი: -64.8 პროცენტი (-0.2 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)


წყარო: სებ

მარტში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად გამყარდა 17.5 პროცენტით გამყარდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	30 აპრილი, 2023		30 აპრ 2023 - 1 იან 2023		30 აპრ 2023 - 1 იან 2022
ევრო	2.7441	▲	5.1%	▲	27.5%
აშშ დოლარი	2.4967	▲	8.2%	▲	23.7%
თურქული ლირა	0.1283	▲	12.5%	▲	293.9%
რუსული რუბლი	0.0311	▲	18.2%	▲	23.4%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	180.61	▲	9.8%	▲	37.7%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (მარტი 2023)	149.58	▲	3.0%	▲	18.4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)


ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, აპრილი 2023




ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2023 წლის აპრილში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,587 მლნ ლარი, რაც 21.2 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.
- 2023 წლის მარტში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად შემცირდა 4.3 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 2.6 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაშოვს, შეადგინა 206.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა უარყოფითი 64.1 მლნ ლარით.
- 2023 წლის მარტში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა 9.7 და 6.1 პროცენტის კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში, ხოლო შემცირება სხვა გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლების 23.3 პროცენტის კლებამ განაპირობა.


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი




ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (30 აპრილი)



- 2023 წლის აპრილში ჩაგარდა 5 აუქციონი ჯამური გამოშვებით 240.6 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.85% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5 და 7 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 40 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2023 წლის 30 აპრილისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის დაახლოებით 19% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა ღვება მომავალი 1 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ყველაზე დიდი წილი უკავია 1-დან 3 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 36%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (მარტი 1.55) შედარებით გაიზარდა და 1.73 შეადგინა.


სესხების ლარიზაცია

3/31/2023




დეპოზიტების ლარიზაცია


31.03.2023



3/31/2023




31.03.2023




- 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.4 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 70.5 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 37.1 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 46.3 პროცენტს უგოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 71.5 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 31 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 54.7 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უგოლდება 43.8 პროცენტს უგოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 38.2 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ


სესხების წლიური ზრდა, %






სესხების წლიური ზრდა, %



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, % წ/წ




- 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 13.2 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 10.6 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.3 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 16.4 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 9.5 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 13.3 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 22, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 6.8 პროცენტით გაიზარდა.




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 1 აპრილის 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 30.2 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუგოლდა 34.4 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 26.9 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 33.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 33.2 პროცენტს გაუგოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის აპრილის დასაწყისში შეადგინა 25.1 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 20.9 პროცენტს გაუგოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 49.4 პროცენტი.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი




საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 29 მარტს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 11.0 პროცენტზე დატოვა.

სებ-ს მიხედვით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია და პანდემიისგან წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა. თუმცა ბოლო პერიოდში საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დასტაბილურების ნიშნები იკვეთება. ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად ნავთობპროდუქტების ფასებმა დაიკლო. ამავდროულად, საერთაშორისო გრანსპორტირების ფასები სწრაფი ტემპით შემცირებას განაგრძობს, რაც იმპორტირებული პროდუქტების ფასებზეც უნდა აისახოს. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა. მიმდინარე წლის აპრილში ფაქტობრივმა ინფლაციამ 2.7 პროცენტი შეადგინა და სამომავლო ინფლაციას ჩამოცდა. მას კვლავ შემცირების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ, გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი.



მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხლომა 2023 წლის 10 მაისს ჩატარდება.

2023 წლის აპრილში ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები აუქციონის მეშვეობით არ განუხორციელებია

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 11.1 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 1.9 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 11.1 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.8 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.8 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.0 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის აპრილის ბოლოს 14.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 8.9 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.5 პროცენტი.

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო